საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/161 “ 9 ” ივლისი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის მ. ვაჩაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში დღეისათვის უფლებამოსილებას ახორციელებს 3 მოსამართლე, რომელთაგან 2 მოსამართლეს მაია ვაჩაძესა და ნუგზარ სხირტლაძეს უფლებამოსილების ვადა ეწურებათ 2019 წლის 20 ივლისს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 1 ივლისის №01/19/98 წერილიდან ირკვევა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაშია 1326 საქმე, საიდანაც 357 საქმე წარმოებაში აქვს მოსამართლე მაია ვაჩაძეს, რომლის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ პალატის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მოსამართლის დარჩენა მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრს, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე მაია ვაჩაძეს 2019 წლის 21 ივლისიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე, მაგრამ არაუმეტეს შესაბამის ვაკანტურ ადგილზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევამდე.

დიმიტრი გვრიტიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის თავმჯდომარე